თუ ამ თვალსაზრისით შეეხედავთ საქმის ვითარებას, ცხადი გახდება, რომ ამერიკელ მოღვაწეთა მსჯელობა შეხვედრის თაობაზე არაფრით არ არის განმტკიცებული. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხებში არავითარ კონსტრუქციულ მიზნებს არ ისახავს, რასაც სრულიადაც არ მალავენ ამერიკის ხელმძღვანელები. უფრო მეტიც, იგი ორიენტირებულია სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით.

როცა ამერიკის პოლიტიკაში გაჩნდება იმისათვის მზადყოფნის რეალური ნიშნები, რომ საქმე სერიოზულად, კონსტრუქციულად წარმართონ, მაშინ შეხვედრის შესაძლებლობის საკითხიც სხვანაირად დადგება.

კითხვა. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ეს-ეს არის გამოიჩინა ინიციატივა, რომ ბირთვული შეიარაღება გაყინოს, ყველა ბირთვულმა სახელმწიფომ, რომლებსაც ასეთი იარაღი აქვთ, რა როლი შეიძლება შეასრულოს ამ ღონისძიებამ გამალებული შეიარაღების ალაგმვაში?

პასუხი. ეს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მეტად დიდი და გაბედული ნაბიჯია.

რა არის მისი არსი? მოკლედ თუ ვიტყვით, იგი მარტივია. მსოფლიო სულ უფრო სწრაფად ებმება გამალებული შეიარაღების ახალ საშიშ ეტაპში. თავისი ინიციატივით საბჭოთა კავშირი ამბობს: სანამ ჯვიან არ არის, ეს სრბოლა უნდა შეჩერდეს.

ზოგ-ზოგებმა შეიძლება თქვან: გაყინვა ხომ თავისთავად ჯერ კიდევ არ სპობს ბირთვული კონფლიქტის საფრთხეს. დიახ, ეს ასეა, მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ ვამბობთ, თითქოს ბირთვული არსენალების გაყინვა საბოლოო მიზანი იყოს. ჩვენ მოვუწოდებთ გადადგან ნაბიჯი, რომელიც გახდება ათვლის წერტილი შემცირებებისაკენ, საბოლოო ანგარიშით კი ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციისაკენ წინსვლისათვის. სწორედ ასეთია გაყინვის შესახებ ჩვენი წინადადებების არსი.

ეჭვი არ არის, რომ, თუ იგი განხორციელდება, სახელმწიფოთა შორის ნდობის დონე მკვეთრად გაიზრდება, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია განიარაღ ე ბ ის დარგში წარმატების მიღწევისათვის. გაყინვა უაღრესად უფუალო ზემოქმედებას მოახდენს შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე, რომელიც უკვე მიმდინარეობს.

ზოგი, ალბათ, იტყვის: ძნელი საქმეა, რომ ყველა ბირთვული სახელმწიფო დაეთანხმოს თავისი ბირთვული არსენალების ზრდის შემცირებასო. რა თქმა უნდა, ძნელია. უეჭველია, ძალიანაც კარგი იქნებოდა, რომ ყველა ბირთვულ სახელმწიფოს ერთდროულად გაეყინა არსებული ბირთვული შეიარაღება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ ეს ვერ გაკეთდება ერთბაშად და ყველას მიერ, მაშინ თავდაპირველად შეუძლიათ ეს განაზორციელონ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თუ შემდგომში ანალოგიურად მოიქცევიან დანარჩენი ბირთვული სახელმწიფოებიც.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ ეს-ეს არის ოფიციალურად მიმართა კონკრეტული ვრცელი წინადადებებით ბირთვული არსენალების გაყინვის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს. იმით, თუ როგორ გამოეხმაურებიან ისინი ამას, ადამიანები ყველა ქვეყანაში იმსჯელებენ თანამედროვეობის ცენტრალურ საკითხში — ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებაში ამა თუ იმ სახელმწიფოს ნამდვილი ხაზის შესახებ.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ საკითხს.

● აშშ

ზანგ ლიდერთა გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. ჩიკაგოში გაიმართა ამერიკელ ზანგთა ლიდერების შეხვედრა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება „1984 წლის არჩევნებისათვის ზანგთა ეროვნული კოალიციის შექმნის შესახებ“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ზანგთა უდიდესი საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კონგრესმენები, ქალაქის მერები, პროფკავშირთა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

შეხვედრაზე მთავარი ადგილი გაისად პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა მოძრაობის პრობლემებსა და ამოცანებს დაეთმო. აღინიშნა, რომ ორ წელიწად-ნახევრის მანძილზე, რაც ხელისუფლებს სათავეში რ. რეიგანი ჩაუდგა, ამერიკის ზანგ მოქალაქეთა მდგომარეობა ნამდვილად კატასტროფული გახდა.

ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე ქვეყნის ზანგ მცხოვრებთა შორის ორჯერ მაღალია თეთრკანიან მოქალაქეთა შორის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მიღებული არჩევნებისწინა პლატფორმის პროექტი შეიცავს მოწოდებას, რომ გაყინონ ბირთვული არსენალები, გააქტიურონ და გაიფართონ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლა.

შეხვედრაზე მოიწონეს იდეა, რომ წამოაყენონ ზანგი კანდიდატი პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში.

● პორტუგალია

ახალი მთავრობის პროგრამა

ლისაბონი. პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა მარიუ სოარეშმა რესპუბლიკის კრებას წარუდგინა თავისი კაბინეტის პროგრამა.

საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობას განზრახული აქვს განამტკიცოს პორტუგალიის „ტრადიციული კავშირები“, უწინარეს ყოვლისა ნატოსთან, დაამთავროს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან აზორის კუნძულებზე პენტაგონის მიერ სამხედრო-საჰაერო ბაზის იჯარის ვადის განგრძობის შესახებ და მიაღწიოს ქვეყნის „საერთო ბაზარში“ მიღებას.

● ინგლისი

გარანტიების მისაღებად

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი ორი დღის ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, სადაც მოლაპარაკებას გამართავს ინგლისის პრემიერ-მინისტრ მ. ჰეზლტაინთან და საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრთან ჯ. ჰაუთან.

ვიზიტის ოფიციალური მიზანი ის არის, რომ განიხილონ ინგლისში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგები და მიიღონ ვაშინგტონისა და კონსერვატორთა მთავრობის სამხედრო თანამშრომლობის შემდგომი გაძმტკიცების გარანტიები. მაგრამ, პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, მოლაპარაკებაზე მთავარი ყურადღება დაეთმობა ინგლისის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის დამლევს ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგებისათვის მზადების დაჩქარების საკითხებს.

როგორც ცნობილია, ნატოს „ბირთვული მოდერნიზაციის“ გეგმების წინააღმდეგ ინგლისის საზოგადოებრიობის მზარდი ოპოზიციის მიუხედავად, გრინჰამ-კომონის სამხედრო-საჰაერო ბაზის რაიონში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღ ი ს განლაგებისათვის. ვაშინგტონმა მიაღწია ახლახან ამერიკის კონგრესში დიდი თანხების გამოყოფას დასავლეთ ევროპაში „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების პირველი პარტიის განლაგებისათვის და ცდილობს დაიჩქაროს კონტინენტის თავის ბირთვულ მძეულად გადაქცევის პროცესი.

● გდრ-გფრ

ინციდენტი საგზაურგე

ბერლინი. როგორც ადნის საინფორმაციო იუწყება, 19 ივნისს დაბა ლეისტერფერდში გერმანიის ფედერაციული რესპუბლ ი კ ი ს მხრიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეეჭრნენ უცნობი პირები და დაანგრიეს სასაზღვრო ნაგებობანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დასავლეთ გერმანიის ფედერალური კანცლერის უწყებაში მტკიცე პროტესტი განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული ახალი პროვოკაციის გამო და მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა. გამოითქვა იმედი, რომ მომართავენ საჭირო ღონისძიებებს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ამგვარ მოქმედებათა აღსაკვეთად.

22 ივნისი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკდესი იუწყება

საქართველოს დღეები მექსიკაში

მაისში მექსიკაში პირველად მოეწყო საბჭოთა კავშირის დღეები საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითით. სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლათინური ამერიკის ამ ქვეყანაში რ. ა. სერგეევმა მადლობა გადაუხადა საქართველოს წარგზავნილებს იმისათვის, რომ გააცნეს მექსიკელებს სამართლე ჩვენს ქვეყანაზე, წარმოაჩინეს ეროვნული კულტურის მიღწევები ხაბეჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა დღეებმა, საქინფორმის კორესპონდენტთან მ. ხანანაშვილთან საუბარში სპეციალისტებული ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა ზ. აბაშიძემ თქვა:

— დღეების პროგრამაში ცენტრალური ადგილი დაეთმო საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მომხდარი გარდაქმნების ჩვენებას, რუსეთთან საქართველოს დამოყვრების ისტორიული მნიშვნელობის გაშუქებას, რომლის 200 წლისთავს აღვნიშნავთ წელს. ამ თემებს მიეძღვნა მექსიკის ქალაქებში გამართული დიდი ფოტოგამოფენები, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის წევრების — აპარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. გ. უნგიაძისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. ნ. მელაძის გამოსვლები. ამასვე მოწმობდა საქართველოს მხატვრული კოლექტივების — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მსახიობებისა და „ცისფერი ტროოს“ გამოსვლები, საქართველოს სსრ საზალხო მხატვრის დინარა ნოდიას, ბავშვთა ნახატების, თბილისის ხელგიანი ესტამპების, საბჭოთა საქართველოში კინორეჟისორების შესახებ ნამუშევრების გამოფენები.

ექსპოზიციები მოეწყო მეხიკოს საუკეთესო საგამოფენო დარბაზებში. ქართველი მსახიობების გამოსვლები მიმდინარეობდა მექსიკის ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში. როგორც წესი, მათ წინ უსწრებდა ფართო რეკლამა პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ჩვენმა სტუმართმოყვარე მასპინძლებმა — „მექსიკა — სსრ კავშირის“ მეგობრობისა და კულტურული გაცვლის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს სპეციალური კატალოგების, ბუკლეტებისა და აფიშების შექმნისა და გავრცელებისათვის.

დღეების საზეიმო გახსნა გაიმართა 7 მაისს მეხიკოს ნატიფ ხელოვნებათა სასახლის დიდ დარბაზში. გახსნას ესწრებოდნენ ქალაქის ხელისუფალთა, პარლამენტის დიპლომატიური კორპუსისა და მექსიკის დედაქალაქის მწრომელთა წარმომადგენლები. საღამო დამთავრდა ქართველ მსახიობთა გამოსვლით, რომელსაც მაყურებელი მჭუხარე ტაშით შეხვდა.

მონაწილეობა მიიღეთ ქვეყანაში გამართულ ღონისძიებებში, რომლებიც მიეძღვნა გერმანელ ფაშისტთა განადგურების 38 წლისთავს. ამ ღონისძიებებს მეხიკოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა გარდა ესწრებოდნენ სოციალისტური ქვეყნების ელჩები მექსიკაში. მოხსენება მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებაში საბჭოთა ხალხის ისტორიული როლის შესახებ გააკეთა მექსიკის პარლამენტის დეპუტატმა ფრანსისკო ორტის მენდოსამ. დასასრულ შეკრებილთ უჩვენეს ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“.

ქართველ მსახიობთა გამოსვლები უჩვენეს ტელევიზიით, ფართოდ გააშუქეს პრესაში.

აი რამდენიმე ციტატი რეცენზიებიდან:

„მსოფლიოში ცნობილი კუროტის აკადემიკოს სანახაობებით განებივრებულ მაყურებელს ჯერ არ უნახავს ასეთი საოცარი წარმოდგენები“, — წერდა ადგილობრივი გაზეთი.

„ცეკვებმა, მუსიკამ, სიმღერებმა გაგვაცნო სულიად სხვა სამყარო, ის სამყარო, რომელიც ჩვენთვის აშიგთადაა ხელმისაწვდომი... შორეული საქართველოს წარმომადგენლთა ბრწყინვალე ხელოვნების მეოხებით გაკრა ენობრივი და იდეოლოგიური ბარიერები, რომლებიც ხშირად დაუძლეველი გვეჩვენება („ელ ერალდო“, სან-ლუის პოტოსი).

მექსიკაში საბჭოთა კავშირის დღეებისადმი ინტერესი უდიდესი იყო, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით, მაგრამ მთავარია ის, რომ ეს დღეები პირველად მოეწყო და მექსიკელებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ მიეღოთ მართალი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე. საიდან წარმოიქმნა ამ ქვეყანაში ეს მოთხოვნილება, ნათელი გახდა, როცა გავეცანით ადგილობრივ გაზეთებს, ვნახეთ ტელევიზიის ახალი ამბების პროგრამები. მექსიკელ მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებში ბატონობენ ამერიკის მონოპოლიები. ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის შესახებ მთ მიერ გადმოცემული ინფორმაცია, მეტი რომ არა ვთქვათ, ტენდენციორია და უმეტესწილად ნეგატიური. ჩვენი ქვეყნის შესახებ ამერიკული არხებით აქ მოსული ცნობების ხარისხსა და შინაარსზე მსჯელობა შეიძლება იმ კითხვების მიხედვით, რომლებიც ამ მოგზგმართვდნენ მექსიკელები. მაგალითად, გვეკითხებოდნენ „მართალია თუ არა, რომ საბჭოთა ფიფი გვართმევს ექვს წელზე მეტი ხნის ბავშვებს და საეკლესიურ ბანაკებში ჰყავს ისინი?“ ან „მართალია თუ არა, რომ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში დადგმულია სპეციალური კოშკურები, საიდანაც სამხედროები თვალყურს ადევნებენ სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილებას?“ და „უშვებენ თუ არა ჩვენთან ფირფიტებს საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებებისა და საერთოდ საესტრადო მუსიკის ჩანაწერებთან?“... სრულიად სენსაციური იყო მათთვის ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში მექსიკელ მწერალთა ნაწარმოებები თარგმნილია არა მარტო რუსულ ენაზე, არამედ ეროვნული რესპუბლიკების ენებზეც.

ბუნებრივია, მექსიკელებისათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ნამამბობი ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთის რეალურ მიღწევათა შესახებ, სადაც არ არსებობს კრიზისები, ინფლაცია და უმუშევრობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში „განსაკუთრ ე ბ ი თ მნიშვნელოვანია, შეგვეძლოს გასაგები და დამაჯერებელი ფორმით ვაუწყოთ მთელი მსოფლიოს უფართოეს ხალხთა მასებს სიმართლე სოციალისტური საზოგადოების, მისი უპირატესობების, მისი საშვიდობო პოლიტიკის შესახებ“. მექსიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოხმაურებები, ამ ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენელთა გამოთქვამები მოწმობს, რომ საქართველოს სსრ მონაწილეობით საბჭოთა კავშირის დღეებმა ნელი შეუწყო ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას. სხვადასხვა დონის შეხვედრების დროს — მექსიკის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, კულტურის მუშაკებთან, უბრალო ადამიანებთან, აღინიშნა, რომ დღეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის განვითარებაში და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესების კეთილშობილურ საქმეს.

(საქინფორმი)

ამერიკის დელეგაცია საქართველოში

21 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის საქმიანი წრეების დელეგაცია სან-ფრანცისკოს სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორის ჯონ ჯეკობსის მეთაურობით. საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში სამოგზაუროდ ჩამოსულ სტუმართა ვიზიტის მიზანია შეაფასონ და განიხილონ კალიფორნიისა და საბჭოთა ორგანიზაციების სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციური შესაძლებლობანი.

* * *

22 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა მიიღო ამერიკის დელეგაციის წევრები.

ამხ. ქართველიშვილმა სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ისტორია და ძველი კულტურა, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პროგრესული შედეგები მოჰყვა რუსეთთან საქართველოს დამოყვრებას, რომლის 200 წლისთავი ზეიმით აღინიშნება წელს. დ. ლ. ქართველიშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკელი სტუმრების ვიზიტი, საბჭოთა ადამიანებთან მათი უშუალო კონტაქტები ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

კალიფორნიის შტატის დელეგაციის წევრთა სახელით სან-ფრანცისკოს სავაჭრო პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ ჯეკობსმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისა და სიიბტერესო საუბრისათვის. „ჩვენს სავაჭრო დელეგაციას ეწოდება აგრეთვე კეთილი ნების მისია, — თქვა მან. — სსრ კავშირში ყოფნის დროს ბევრი რამ შევიტყეთ თქვენი ქვეყნის, მისი ადამიანების ცხოვრების შესახებ. ეს დაგეხმარება უზრუნველყოთ ურთიერთგაგება, ვიცხოვროთ მშვიდობიანად და მეგობრულად საბჭოთა ადამიანებთან, და სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი სურვილი“.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სექმეთა მმართველი ზ. გ. ახვლედიანი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმენებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. ოყროშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი ლ. ნ. მატარაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გოდელაძე, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ნ. ნეფედოვი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე. (საქინფორმი).

უკანასკნელად, ბატონებო!

ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის პრესაში, კერძოდ, ნიუ-იორკის ერთ-ერთ სოლიდურ გაზეთში „უოლ-სტრიტ ჯორნალში“ გამოქვეყნდა წერილი, საიქვო და ბუნდოვანი სათაურით: „ღონიერი, მაგრამ არც თუ მაგარი ღვინო თავისუფლად მოიხრიალებს საბჭოთა საქართველოში“. გაგონილა?... ღვინოს „ღონიერი“ მაშინ ეთქმის, როცა სიმაგრე ანუ გრადუსი მაღალი აქვს.

ამ წერილის ავტორის გარდა, ამქვეყნად ყველამ იცის ეს.

კაცმა რომ თქვას, ღვინის არც მომხმარებლად ვარგებულა ეს ავტორი, რადგან როგორც თვითონ წერს, „თავშიც იოლად ავარდნია“ ღვინო და „ფეხიც მაღე არევია...“

მოგეხსენებათ, ამ „ტურიზმის ბუმში“ მტერ-მოყვარეს ვერ გაარჩევ, რას გაიგებ, მილეთის ხალხში ვინ როგორ გვიყურებს.

ვისაც როგორ უნდა ისე გვიყურეს, ვისაც რა უნდა ის თქვას, ქართველისა და ძაღლის არაკი ამ შემთხვევისათვის ზედგამოჭრილია, მაგრამ ყველა ნათქვამს რაღაც მინიმალური საერთო მაინც უნდა ჰქონდეს სინდისთან და სიმართლესთან.

წერილის შესავალში ავტორი წერს, რომ მას ჯერ კიდევ მოსკოვში უთხრეს, რომ საქართველოში, უზარმაზარ ქვევრებში ამზადებენ ქართველიფერ ღვინოს, რომელიც ხანგრძლივი სიცოცხლის ელექსირია, რომ ღვინის დამზადების ეს მეთოდი სრულიად განსხვავდება ღვინის დაყენების ევროპული წესისაგან და სხვ.

ამიტომ, ვინაიდან სიცოცხლის ხანგრძლივობაზე წერილის დაწერა განვიზრახე, გადავწყვიტე ამ ელექსირის დამზადების მეთოდს მე თვითონ გავცნობოდიო...

და ქართველ მეღვინეებთან შეხვედრა მოუთხოვია. ბუნებრივია, პირველად სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მიუყვანიათ. საკადრისად დახვედრიან მასპინძლები.

არ გიაკითხო, მკითხველო, რა უნდა ყოფილიყო ისეთი საიდუმლო კახური ღვინის დაყენებაში, რომ რომელიმე მასპინძელს ეთქვა ან ეფიქრა, არ დავიიუპოთ, ამ ამერიკელმა არ გაგვიგოს, როგორ ვამზადებთ „ტიბაანს“ ან „რქაწითელსო“.

კახური წესით ღვინის დაყენების გასაცნობად ამერიკიდან აქ ჩამოსვლა რა საჭირო იყო, ამერიკაში საბიბლიოთეკო მომსახურების სამაგალითო კულტურაა და თუ თვითონ არ მიაკითხავდა ბიბლიოთეკას, შინ მიართმევდნენ წიგნს, რომელშიც დაწერილებით არის აღწერილი, თუ როგორ აყენებდა კახეთში ღვინოს ჩვენი წინაპარი.

ინსტიტუტში ეს პატივცემული „მკვლევარი“ და ჟურნალისტი ოთარ დარახველიძეს შეხვედრია, დამსახურებულ კაცსა და „დამსახურებულ მეღვინეს“.

მოგეხსენებათ, შეკითხვას, რომელიც ამ პატივცემულ სტუმარს აღელვებდა და აინტერესებდა, ჩვენში ყველას შეუძლია უპასუხოს და, რა სათქმელია, რომ ჩვენი მეცნიერები ამ გულბრყვილო (თუ არა სასაცილო) შეკითხვას უპასუხოდ არ დატოვებდნენ.

როგორც სიმღერას მოყოლით ვერავის გააგებინებ, ისე დაუჭამხკებლად ღვინოზე ლაპარაკი შეუძლებელია.

აქედან დაიწყო ყველაფერი. დავანებოთ წერილის ტონს თავი — დამცინავს, შედიდურს, მენტორულსა და იქედნურს, მივყვეთ შინაარსს.

მეღვინეობის ინსტიტუტში ამ „ბრძნულ“ საუბარში ყოფილან, რომ გაღებულა კარი და თეთრხალათიან ქალებს მოურთმევიათ ვეებერთელა ვაზებით ხილი, შოკოლადი, შინაური ნამცხვარი, ვაფლი და, რა თქმა უნდა, ღვინო.

როგორც ავტორი წერს, „ღვინო მართლაც საინტერესო(!) აღმოჩნდა: „ლია ჩაის ფერი, მშრალი, სურნელოვანი, წყალნარევი, ქიშმიშით შეზავებულ მადერას ჩამოჰგავსო“.

წარმომიდგენია, რა გუნებაზე დადგებოდნენ ჩვენი მეღვინეები, „ქიშმიშით შეზავებულ ღვინოს, რომ მიუმსგავსეს ქართველი „რქაწითელი“ (ერთი გაცინება ალბათ მილიონი ღირდა), მაგრამ ჩვენში სტუმარს ამას ვინ აკადრებს!

„ვწრუპავდით ღვინოს სხვადასხვგაგვარი ბოთლებიდან, მივირთმევდით ბროწეულს, ხურმას, შოკოლადიან ვაფლს, ერთ საათში წამოვდექით... ვქანაობდითო!“

ამას ჩვენში „ბანცალი“ ჰქვია და სიმთვრალის გამოსახატავად ვხმარობთ, რაც შეეხება — ქანაობას, თვითონ, ალბათ, მართლა ქანაობდა, მასპინძლებისა კი რა მოგახსენოთ, ვინ დაიჯერებს, რომ ქართველი მეღვინე დეგუსტაციაზე დათვრა. რაც შეეხება სტუმარს, თუ „წყალგარეული „მადერას“ არის მიჩვეული, ამ თოფვით წარაფს კიდე კარგად გადარჩენია!..

შეიძლება ჩვენზე ახია, მაგრამ სტუმართმოყვარეობის რიტუალის ბედნიერ ტყვეობაში ყოფნა ქართველებს ნებაყოფლობით გვაქვს სისხლში და ხორცში გამჯდარი.

ამ მობარბაცე „მკვლევარს“ ახლა ანალიტიკური აზროვნების აფრები აეშალა და მოისურვა, ის ლაბორატორია მიჩვენეთ, სადაც ეს ელექსირი მზადდებაო!

ამას ხმამაღალი სიცილი არ გამოუწვევია, მაგრამ ისე მაინც შეეცადნენ ეთქვათ, რომ ლაბორატორიაში ღვინო ისინჯება (სიმაგრე, შედგენილობა და სხვა) ღვინო მარანში მზადდება და ეს პროცესი ვენახში იწყება, ამიტომ ჯერ ვენახები ნახეთ, თელავისა და გურჯაანის ზვრები და მერე ქარხნებიო, ურჩიეს, მაგრამ გაიგონა?

ეტყობა, ჩვენს სტუმარს ეგონა, ალქიმიკოსებივით სხედან ჩვენი მეღვინეები გამოკეტილი, „დასაიდუმლოებულ“ ლაბორატორიებში და ანაზღვენ სხვადასხვა „ელექსირებს“! — ეტყობა აი, ამ „საიდუმლოს“ ელტვოდა ჩემი კოლეგა, რომელიც სურვილის მიუხედავად ღვინის მცოდნეც მარს, თუ „წყალგარეულ „მადერას“ არის მიჩვეული, ამ თოფვით ჩვენში სტუმარს ამას ვინ აკადრებს!

„ვწრუპავდით ღვინოს სხვადასხვგაგვარი ბოთლებიდან, მივირთმევდით ბროწეულს, ხურმას, შოკოლადიან ვაფლს, ერთ საათში წამოვდექით... ვქანაობდითო!“

ამას ჩვენში „ბანცალი“ ჰქვია და სიმთვრალის გამოსახატავად ვხმარობთ, რაც შეეხება — ქანაობას, თვითონ, ალბათ, მართლა ქანაობდა, მასპინძლებისა კი რა მოგახსენოთ, ვინ დაიჯერებს, რომ ქართველი მეღვინე დეგუსტაციაზე დათვრა. რაც შეეხება სტუმარს, „ცოცხალ ბოთლებს“ ეფერებოდა, ალბათ, ბოთლებიც ამ ოსტატ ეფერებოდნენ, ბოთლებიც ამ ოსტატ ეფერებოდნენ, ბოთლებიც ამ ოსტატ ეფერებოდნენ

სტიქია კვლავ ბობოქრობს

(დასასრული)

ამასთან ერთად 1.000 ჰექტრამდე მოსახლეობის ვენახი და ბაღჩ-ბოსტნეული დაისტყვა.

სხვა გზა არ გვქონდა. საჭირო იყო მიგვემართა სასწრაფო ღონისძიებებისათვის სეტყვისგან დაზარალებული ზვრებისა და მინდვრების საშველად. სწორედ ამ მიზნით, იმავე დღეს მოვიწვიეთ რაიკომის ბიუროს საგანგებო სხდომა. შეიქმნა სტიქიის წინააღმდეგ მებრძოლი საკოორდინაციო შტაბი, ხოლო ადგილებზე, რაიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. რაიონული გაზეთის საშუალებით კომუნისტებს, კომკავშირელებს ყველა მშრომელს მოვუწოდეთ: „ყველაზე ვენახებში, მინდვრად!“

ამ განსაცდელის დღეებში მატერიალური და მორალური დახმარების ხელი გამოგვიწოდა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობამ. ამან გაამხნევა და წაახალისა ჩვენი მშრომელები, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომიტეტმა რაიონში მოავლინა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები. ისინი სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევენ მევენახეებს ნაჭილობევი ვაზის გასაჯანსაღებლად.

ჩვენთან ჩამოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები მევენახე ე. ბ ს, მხვნელ-მთესველებს ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. გამოითქვა აზრი, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები განახორციელებენ სასწრაფო, ოპერატიულ ღონისძიებებს სეტყვით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, იმ ანგარიშით, რომ დასეტყვილი ნათესი ფართობები გადაიხნას, დაითესოს სანაწვეერალო კულტურები, გაისხლას, და შეიწამლოს ვაზი და ა. შ. — პრაქტიკა ბევრ რამეს გვასწავლის. როგორ წარმოვიდგენდი, რომ რვა-ათ წუთში სეტყვას შეეძლო ერთ რაიონში ესოდენ დიდი ზარალი გამოეწვია, ასეთი რამ არ გვინახავს, — გვითხრეს 80 წელს მიღწეულმა, გამოცდილმა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელმა, პენსიონერმა ვლადიმერ მაზიაშვილმა, ხანში შესულმა მევენახეებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა მიხეილ ღვედაშვილმა და ვლადიმერ ხუციურაულმა, სხვებმა.

არც გაზაფხულს და არც მინდორს წითელწყაროელები არ ემდუროდნენ. ვენახსაც იმედის კვალი დაეტყო, მაგრამ ზაფხულის ამინდი უფრო ვერაგი გამოდგა. სეტყვა და თქეში არ მოაკლო ხალხს ნაამაგარს.

ივნისის პირველი დღეების შემოტევას კიდევ გაუძლეოდა კაცი, მაგრამ 17 ივნისის საღამომ ყველფერი გადაფატრა. სეტყვამ, რომ იტყვიან, მიწასთან გაასწორა სოფელ ზემო მაჩხაანის 240 ჰექტარი ხორბლისა და ქერის, 100 ჰექტარი ესპარეტის, 150 ჰექტრამდე იონჯის და ჭარხლის ნათესები; 1.000 ჰექტარზე მეტი ვენახი ზოგან ისე გასხიპა, რომ რქაც არ შეარჩინა ზედ.

სეტყვამ გაანადგურა სოფელ არბოშიკის, გამარჯვების, ოზაანის, მირზაანის ვენახები. ხორბლის, სიმინდის, ლობიოსა და კარტოფილის ნათესები, მოსახლეობის ბოსტნები და ვენახები, სეტყვისაგან გამოწვეული ზარალი მეტად საგონრსობია.

რაიონში საგანგაშო მდგომარეობაა გამოცხადებული, ქუდზე კაცია გასული ვენახში, მინდორში. საგანგებო შტაბები, როგორც რაიონული, ისე ადგილებზე სოფლებში, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოუშუშონ ვაზს ჭრილობები, დროულად გასხლან, შეწამლონ იგი. პირქვე დაცემული შემოუსვლელი ხორბლისა და სიმინდის ყანებს კი სენაჟად, სილოსად იყენებენ. რაიონის მშრომელებს ახლა ერთი მიზანი ამოძრავებთ — სტიქიას გამრჯე შრომით აჯობონ და მაქსიმალურად შეამცირონ ზარალი.

დ. ბერგიშვილი,
ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ყაბალი

სატურნირო ორბიტა

სასტენდო სროლა. საბჭოთა მსროლელმა სვეტლანა იაკიმოვამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ედმონტონში (კანადა) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე. მისი შედეგია 190 ქულა 200-დან. ს. იაკიმოვა ამ ტიტულს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.

ჭადრაკი. ლვოვში მიმდინარეობს ა. კოტოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. უკვე გათამამდა ცხრა ტური. 7 ქულით დაწინაურდა ლვოველი დიდოსტატი ი. დორფმანი, რომელიც ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობს. 6,5 ქულა აქვს მოსკოველ ვ. ჩეხოვს.

ცურვა. 19 წლის დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა მიხაელ გროსმა ჰანოვერში გამართულ თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1 წუთი და 48,28 წამი. ძველი მიღწევა ამერიკელ რ. ჰაინესს ეკუთვნოდა — 1.48,93.

სამართალდარღვევა: ჯერ კიდევ

ყველა პროგლემა არ არის გადაჭრილი

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა სისტემატურად იღებს ინფორმაციას ცალკეულ სამართალდარღვევებსა და შემთხვევებზე. მაგრამ ეს ცნობები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

ამის გათვალისწინებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამიერიდან პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, ფართო საზოგადოებრიობის ინფორმირებისათვის მოამზადებს ინფორმაციებს ოპერატიული ვითარების მდგომარეობის შესახებ იმ ქალაქებისა და რაიონების დასახელებით, სადაც იგი რთულდება.

წლეულს სამართალდაცვითმა ორგანოებმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს, რომლებმაც მთლიანად დადებითი გავლენა მოახდინეს ოპერატიულ მდგომარეობასა და დისციპლინის განმტკიცებაზე საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში.

ბევრ ქალაქსა და რაიონში დაისახა და ძლიერდება დამნაშავეობის — განზრახ მკვლელობის, ძარცვის, სხვა მძიმე დანაშაულობათა შემცირების ტენდენცია. გაუმჯობესდა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა გამოვლენის მაჩვენებლები.

მაგრამ ცალკეულ სახეობათა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ ყველგან არ შეუძლია მიზანდასახული ხასიათი, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს რესპუბლიკაში ოპერატიულ ვითარებაზე. მთელი რიგი საქმეები ჯერ კიდევ გაუხსნელია.

წლეულს სათანადოდ არ ებრძვიან დამნაშავეობას ქალაქებში გორში, რუსთავში, ჭიათურაში, ბათუმში, ზუგდიდში, გალის, გარდაბნის, გურჯაანის, ხაშურის, კასპის, ლანჩხუთის, საჩხერის, წალენჯიხის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

რუსთავში ოპერატიული ვითარება გართულდა იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა სხეულის დაზიანების, ძარცვის, პირადი საკუთრების ქურდობის, ავტოავარიების გამოწვეული სიკვდილიანობის, ხულიგნობის რიცხვი. ხაშურის რაიონში გაიზარდა მკვლელობისა და ქურდობის რიცხვი.

არასაკმარისი პროფილაქტიკური მუშაობისა და დამნაშავეობასთან მებრძოლ ორგანოებს შორის სათანადო კოორდინაციის უქონლობის შედეგად ქალაქთბილისში, აგრეთვე ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, კასპის, მარნეულის, მცხეთის რაიონებში აღრიცხულია მკვლელობის, გაუპატიურების, სხეულის დაზიანების ყველაზე დიდი რაოდენობა. ქურდობა, ძარცვა, უაჩაღობა გაზშირდა ქალაქებში გორში, რუსთავში, ჭიათურაში, გურჯაანის, ყვარლის, ხაშურის, ზუგდიდის, მახარაძის და წალენჯიხის რაიონებში.

ზემოთ დასახელებული ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა განაზორციელონ დამატებითი ღონისძიებანი დამნაშავეობასთან ბრძოლის უკეთ ორგანიზაციისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრიობას გააცნონ ნაკლოვანებათა მიზეზები და ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს 1983-84 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ზოოსანეინარო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორი) ზოოინჟინრის სპეციალობით.

2. სავეტერინარო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორი) ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ინსტიტუტში მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. იმ პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სავალდებულოა საწარმოო მუშაობის სამი წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოითხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა წარჩინებით და შეტანილი არიან უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ კანდიდატთა სიაში, აგრეთვე იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა ფრიადი და კარგი ნიშნებით და პედაგოგიური კოლექტივების მიერ რეკომენდებული არიან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ან განათლება მიიღო წარმოებას მოუწყვეტლივ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება, სავალდებულოა საწარმოო მუშაობის 2 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოითხოვებათ იმათ, ვინც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დამთავრა წარჩინებით, აგრეთვე ფრიადი და კარგი ნიშნებით და პედაგოგიური კოლექტივის მიერ რეკომენდებულია უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად შესაბამის სპეციალობაზე.

იმ პირთათვის, რომლებმაც საშუალო სასწავლებელი წინა წლებში დაამთავრეს, სავალდებულოა სკოლის დამთავრებიდან ყოველ განვლილ წელზე 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, როცა არ სწავლობდნენ.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ფიზიკა (წერა); ბიოლოგია (ზეპირი); ქიმია (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელნი. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელნი (გამოცდები მოეწყობა დასახელებული თანამიმდევრობით).

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნებნი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ფიზიკაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში, ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად. საკონკურსო შერჩევა იწარმოებს ფაკულტეტებისა და სექტორების მიხედვით.

კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩაირიცხებიან მუდმივად მცხოვრები პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი უმაღლესში ამორჩეული სპეციალობით, პირველ ყოვლისა, წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილების თანახმად და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მიმართვას.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოტანილ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და მიუთითოთ არჩეული სპეციალობა. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის ხელმძღვანელის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული ლი საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული კაკადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან მოვლინებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მივლინების შესახებ; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ.).

შენიშვნა: საბუთები უნდა იყოს სათანადოდ გაფორმებული და რეგისტრირებული გაცემის თარიღის ჩვენებით.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 30 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 10-დან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1-დან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში (ტელეფონი: 72-11-64).

ინსტიტუტის მისამართი: **თბილისი—კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.** ავტობუსი № 23.

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1983-84 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

სწავლება წარმოებას მოწყვეტით

მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი:

1. კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი);

2. მხუბუჭი მრეწველობის მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი);

3. საშემდღებლო წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობა (ქართული სექტორი).

ავტომობილური ფაკულტეტი

1. ავტომობილები და ტრაქტორები (ქართული სექტორი);

2. შიდაწვის ძრავები (ქართული სექტორი);

3. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა (ქართული სექტორი).

მექანიკა-ტექნოლოგიური ფაკულტეტი:

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები).

ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი:

1. პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

2. საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

3. ხის დამუშავების ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

4. გამოყენები წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (ქართული სექტორი);

მსუბუჭი მრეწველობის ფაკულტეტი:

1. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (ქართული სექტორი);

2. სატრიკოტაჟო წარმოება (ქართული სექტორი);

3. სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

4. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

5. ქსოვა (ქართული სექტორი).

სწავლება წარმოებას მოუწყვეტლივ

საღამოს სწავლების ფაკულტეტი:

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი);

2. ავტომობილები და ტრაქტორები (ქართული სექტორი);

3. შიდაწვის ძრავები (ქართული სექტორი).

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი:

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები;

2. საშემდღებლო წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობა;

3. ხის დამუშავების ტექნოლოგია;

4. კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები;

5. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა;

6. სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია;

7. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია;

8. ქსოვა.

ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღების წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში მიღებისა.

დღის სტაციონარზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში.

მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკურ და მექანიკა-ტექნოლოგიურ ფაკულტეტებზე— მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (წერა), მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა (წერა).

ქიმიურ-ტექნოლოგიურ და მსუბუჭი მრეწველობის ფაკულტეტებზე — მათემატიკა (ზეპირი; ფიზიკა (წერა); ქიმია (წერა); მშობლიური ენა (წერა).

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ იმავე საგნებში, რომლებშიც დღის სტაციონარის სათანადო სპეციალობებზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი საშუალო სპეციალური ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (ზეპირი). გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას, ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან.

შენიშვნა: მიმდინარე წელს ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის ატესტატში, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების დიპლომებში არა აქვთ ნიშანი „სამი“ და ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა 4,5 და მეტია, პირველი ორი გამოცდის შედეგად 9 ან 10 ქულის მოგროვების შემთხვევაში ჩაირიცხებიან ინსტიტუტში შემდეგი გამოცდების ჩაუბარებლად. ეს ეხებათ აგრეთვე იმ მედალოსნებს და საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტებსაც, რომელთაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „ოთხი“, ხოლო მეორეზე „ხუთი“, მისაღები გამოცდები საგნებში მოეწყობა ზემოაღნიშნული თანამიმდევრობით.

წარმოების მოუწყვეტლივ სწავლებაზე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირები, რომელთა სამუშაო შეესატყვისება უმაღლესში ამორჩეულ სპეციალობას, თუ ისინი ამ სპეციალობით მუშაობენ სულ ცოტა ექვსი თვის განმავლობაში; აგრეთვე საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მონათესავე სპეციალობებზე შედიან, და თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი საბუთები: განცხადება (დადგენილი ფორმით); საშუალო განათლების საბუთი (დედანი); სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული დახასიათება; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, რომელიც დამოწმებულია კოლმეურნეობის გამგეობის მიერ და აღნიშნულია კოლმეურნეებისათვის კალენდარულ წელზე დაწესებული შრომადღეების მინიმუმი; საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელებს, ჩვეულებრივ, უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ; ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4).

სახწავლებლის ნებისმიერ უფაკულტეტზე შემსვლელთათვის საბუთები მიიღება 31 ივლისის ჩათვლით ყოველდღე 9-დან 13 საათამდე ინსტიტუტის შენობაში.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1983 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა — 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. ჩარიცხულნი ვალდებული არიან რეგისტრაციაში გატარდნენ 1983 წლის 30 აგვისტომდე. რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში.

დაუსწრებელი სწავლების სპეციალობაზე — „ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია“ და „ქსოვა“ საბუთების მიღება გაგრძელდება 23 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით თბილისში პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობაში (უშანგი ჩხეიძის ქუჩა № 8), **ხოლო გამოცდები მოეწყობა 29 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე იმავე მისამართით.**

მისაღები გამოცდები მოეწყობა იმ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის შესაბამისად.

არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოვლენის მიზნით აბიტურიენტებთან მოეწყობა გასაუბრება.

კონკურსი გაიმართება მონათესავე სპეციალობათა მიხედვით:

მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკურის და მექანიკა-ტექნოლოგიის ფაკულტეტებზე — ერთად; ქიმიურ-ტექნოლოგიური და მსუბუჭი მრეწველობის ფაკულტეტებზე — ერთად; საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე კონკურსი გაიმართება სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტის მახსავლებლები ივლისში ყოველდღიურად ინსტიტუტში გამართავენ ლექციებ-სემინარებსა და კონსულტაციებს საგამოცდო საგნებში.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით ინსტიტუტის სწავლის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიამ შექმნა და პრაქტიკაში დანერგა ავტოინფორმატორი. ყოველდღიურად ტელეფონით 5-69-17 შეიძლება ცნობების მიღება გამოცდებთან დაკავშირებით.

ინსტიტუტის მისამართია, ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი 62.

საქართველოს სუბტროპიკული მეშურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1983-84 სასწავლო წლისათვის წარმოებას მოწყვეტით (დღის განყოფილება) შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე: სპეციალობა — აგრონომია, სპეციალიზაციები: სუბტროპიკული მემცენარეობა (ქართული და რუსული სექტორები), დეკორაციული მებაღეობა (ქართული სექტორი), აგრომელიორაცია (ქართული სექტორი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: სპეციალობა — სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები).

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე: სპეციალობა — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე (სუბტროპიკული მემცენარეობა, დეკორაციული მებაღეობა, აგრომელიორაცია), — ფიზიკაში (წერა)*, ქიმიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა)*, ქიმიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი).

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა*, ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი).

ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას თხზულების სახით, ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

იმ პირებს, რომელთაც რუსული ენა საშუალო სასწავლებელში ისწავლეს ეროვნული სკოლის პროგრამის მოცულობით, ანდა ის ენა, რომელზეც უმაღლესში წარმოებს სწავლა, ისწავლეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საგანი, შეუძლიათ თხზულების მაგივრად საკუთარი სურვილისამებრ წერონ შინაარსი ან კარნახი.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ საგანში, რომელიც ტექსტში აღნიშნულია ვარსკვლავით. გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას, ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მიიღებიან წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე, თუ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აქვთ არანაკლებ სამი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოითხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა წარმოებას მოუწყვეტლივ ან წარმოებას მოწყვეტით, თუ მათ მიიღეს წარჩინების დიპლომი და შეუყვანილი არიან უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლების მქონე კანდიდატთა რიცხვში, აგრეთვე ამ სასწავლებელდამთავრებულებს, რომელთაც ყველა საგანში აქვთ „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნები, ასეთივე შეფასებით დაიცვეს სადიპლომო პროექტები ან ჩაბარეს სახელმწიფო გამოცდები და ტექნიკუმების (სასწავლებლების) პედაგოგიურმა საბჭოებმა რეკომენდაცია მისცეს შესაბამისი სპეციალობის დღის სწავლების უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის № 296 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დებულების შესაბამისად, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დღის სწავლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება, მიიღებიან წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ აქვთ არანაკლებ 2 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება, „ფრიადი“ ან „კარგი“ შეფასება აქვთ, წარმატებით ჩაბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები და სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს მიერ უმაღლეს სასწავლებლებში დღის სწავლების შესაბამის სპეციალობაზე სწავლისათვის რეკომენდებული არიან გამომვების 10 პროცენტის რიცხვში, მიიღებიან უშუალოდ სასწავლებლის დამთავრებისთანავე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1983 წლის დამტკიცებული მიღების წესებისა და პროგრამის მიხედვით.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოტანილ ინსტიტუტის რექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად; საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ოთხი ფოტოსურათი (სურათები უქუდოდ, ზომა 3X4 სმ.).

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარმოადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

შემსვლელნი წარმოადგენენ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების, კოლმეურნეობათა გამგეობის მიერ გაცემულ დახასიათებას.

იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული დახასიათება, სადაც ისინი სწავლობდნენ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილთათვის აუცილებელი არ არის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული დახასიათების წარმოდგენა.

ის პირები, რომელთაც აქვთ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე მოვლინებულნი, განცხადების შემოტანისას წარმოადგენენ წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან.

იმათგან, ვინც წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები კონკურსით, პირველ რიგში ჩაირიცხებიან:

წარმოების მოწინავენი, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე წარგზავნილნი არიან მიმართვის ერთიანი ფორმით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილების შესაბამისად.

სოფლად მუდმივად მცხოვრებნი, რომელთაც აქვთ უმაღლესში ამორჩეული ან მონათეს